საქართველოს მთავრობის

განკარგულება №

2021 წლის __მარტი

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახელწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის საჭირო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახელწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თაობაზე

ა) ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

2021 წლის 1 მარტს ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სამხრეთ აღმოსავლეთის ორიენტაციის მქონე ადგილობრივი წყალგამყოფის სუსტად ჩაზნექილი ზედაპირის მქონე ლოკალურ, დროებით სტაბილიზაციაში მყოფ ძველი მეწყრული სხეულის არეალში განვითარდა ბლოკურ-ცოცვითი ტიპის მეორადი გენერაციის მეწყერი.

ფორმირებული მეწყრული სხეულის შემდგომი დეფორმაციის ხასიათსა და დინამიკაზე ინსტრუმენტალური დაკვირვების წარმოების მიზნით, თბილისის მერიის მიერ ოპერატიულად განხორციელდა მეწყრული სხეულის გასწვრივ ზოლში დასმული რეპერების სახით 11 ჯვარედინი კვეთის მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ქალაქ თბილისის მუნციპალიეტეტის მერიის სამსახურებთან ერთად ჩართულნი არიან შესაბამისი უწყებების სპეციალისტები (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, საპროექტო და სამშენებლო კომპანიები), რათა უმოკლეს ვადებში გატარდეს გადაუდებელი მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები. მონაკვეთზე 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი და ტარდება აუცილებელი კვლევები. პროცესში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მ/წლის 22 მარტს ჩაერთო უცხოელი სპეციალისტები.

სპეციალისტთა პირველადი შეფასებით, მეწყრული მოვლენების ჩასახვა-გააქტიურება, გამოწვეული უნდა იყოს ბუნებრივ და ტექნოგენურ მიზეზ-ფაქტორთა ერთობლივი ზემოქმედებით, მათ შორის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ქ. თბილისის ტერიტორიაზე მომხდარი სხვადასხვა ინტენსივობის სეისმური ბიძგებით (მიწისძვრები), სხვადასხვა პერიოდში ზემოთ აღნიშნული მეწყრული ბლოკის ფარგლებში განხორციელებული საინჟინრო საქმიანობით და სხვა ფაქტორებით.

მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ჩაატარებს ყველა აუცილებელ ღონისძიებას როგორც გადაუდებელი აუცილებლობა და მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება მეწყრული პროცესების გამომწვევი მიზეზები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე ქ. თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე გეოდინამიკური გართულებების მინიმიზაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის საჭირო საკვლევ-საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ამ ეტაპისთვის სავარაუდო ღირებულებით **7 000 000 (შვიდი მილიონი)** ლარი. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება დაზუსტდება დეტალური კვლევა-პროექტირების დასრულების შემდეგ.

მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა და მომსახურების შესყიდვა:

- საპროექტო მომსახურება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი
- სამშენებლო სამუშაოები 6 500 000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი

ბ) ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ევროკავშირის სამართლებრივი აქტებიდან.

გ) ინფორმაცია ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შესახებ:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსიდან.

დ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ან/და ხარჯვით ნაწილებზე. პროექტის მიღება ასევე არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებასთან. პროექტი განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამით –„საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (კოდი: 02 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან 7 000 000 (შვიდი მილიონი ლარის ფარგლებში.

ე) პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის მიღების შემთხვევაში ქალაქ თბილისის მერიას შესაძლებლობა ექნება **ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარი-ლისის (მაჭავარიანის ქუჩა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს.**

ვ) პროექტის განხორციელების ვადები:

ღონისძიებები განხორციელდება ეტაპობრივად 150 (ასორმოცდაათი) დღის განმავლობაში.

ზ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

თ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.